

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის

ბრძანება №208

2011 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 6 თებერვლის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 06.02.15 წ.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹

მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის თანდართული დებულება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხ. კალმახელიძე

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულება

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში – კომისია) წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილითა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს.

2. კომისიის მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის ხელშეწყობა.

3. კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს დებულება და სხვა ნორმატიული აქტები.

4. კომისიის იურიდიული მისამართია : ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №42.

5. კომისიას აქვს მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულების მქონე ბლანკი და ბეჭედი, რომელიც ინახება კომისიის თავმჯდომარესთან.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 11.06.2012 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 20 ივლისის ბრძანება №58 - ვებგვერდი, 21.07.2017 წ.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის პრინციპები

მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობა ეფუძნება დამოუკიდებლობის, კანონიერების, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა და დაკომპლექტების წესი

1. კომისია შედგება კომისიის 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) სამინისტროს სამოქალაქო სამსახურში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის 1 მოსამსახურე;

ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის 2 თანამშრომელი;



გ) როტაციის წესით – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი წარმომადგენელი.

3. კომისიის შემადგენლობაში სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი ექვემდებარებიან როტაციას ყოველი 1 წლის შემდეგ.

4. კომისიის შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელს, სამინისტროს სამოქალაქო სამსახურში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის 1 მოსამსახურესა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის 2 თანამშრომელს ამტკიცებს მინისტრი, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.“

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 20 ივლისის ბრძანება №58 - ვებგვერდი, 21.07.2017 წ.

მუხლი 4. კომისიის წევრი

1. კომისიის წევრი:

- ა) უფლებამოსილია დასვას საკითხი კომისიის სხდომაზე განსახილველად;
- ბ) მიიღოს მონაწილეობა კომისიის საქმიანობაში;
- გ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;
- დ) გაეცნოს საქმის მასალებს;
- ე) ჯეროვნად შეასრულოს მათზე დაკისრებული მოვალეობები ;
- ვ) მოვალეობის განხორციელებისას მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ზ) იცავს კომისიის საქმიანობისათვის დადგენილ პროცედურებს .

2. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტა;
- გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
- დ) მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ზედიზედ სამჯერ გაცდენა;
- ე) მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- ვ) გარდაცვალება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის წევრი ს უფლებამოსილება წყდება მინისტრის ბრძანებით.

4. კომისიის წევრები საქმიანობას ეწევიან ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 5. კომისიის ხელმძღვანელი პირები

1. კომისიის ხელმძღვანელი პირები არიან კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, რომლებსაც კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისია.

2. კომისიის ხელმძღვანელი პირის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

3. კომისიის თავმჯდომარე:

- ა) იწვევს კომისიის სხდომებს და განსაზღვრავს მათი ჩატარების დროსა და ადგილს;
- ბ) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;
- გ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის;
- დ) უძღვება სხდომაზე საკითხის განხილვას;
- ე) ზედამხედველობს კომისიის წევრების მიერ მოვალეობათა შესრულებას;
- ვ) ხელს აწერს სხდომის ოქმს;
- ზ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება მოსილებებს.

4. კომისიის მდივანი:

- ა) ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას;
- ბ) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;
- გ) უზრუნველყოფს კომისიის წევრებისთვის მასალების პერიოდულად გაგზავნას;
- დ) გამოითხოვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ მასალებს ;
- ე) უზრუნველყოფს სხდომის ოქმის წარმოებას;
- ვ) ხელს აწერს სხდომის ოქმს;
- ზ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილება

1. კომისია უფლებამოსილია განიხილოს მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს (შემდგომში – პრობაციის ბიურო) უფროსის შუამდგომლობა, ასევე პირის მომართვის საფუძველზე „ნარკოტიკული



დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით პირისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების საკითხები.

2. კომისია ა აგრეთვე უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 11.06.2012 წ.

მუხლი 7. კომისიის სხდომა

1. კომისიის განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. თუ კომისია ჩათვლის საჭიროდ მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მსჯავრდებულისაგან, ატარებს ზეპირ მოსმენას.

2. პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და მსჯავრდებულისთვის ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის, ასევე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, პირისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის შესახებ კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. ზეპირ მოსმენაზე დასწრების უფლება აქვთ მსჯავრდებულს, მის დამცველს/ადვოკატსა და მსჯავრდებულზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს.

4. სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის სხდომა, როგორც წესი, იმართება თვეში ერთხელ, კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის არანაკლებ 2 წევრის მოთხოვნით.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

6. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

7. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 11.06.2012 წ.

მუხლი 8. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისია, როგორც წესი, თავის მორიგ სხდომაზე განიხილავს – სხდომის ჩატარებამდე ორი სამუშაო დღით ადრე მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ პრობაციის ბიუროს უფროსის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს. ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ შემოტანილ განცხადებებს კომისია პერიოდულად განიხილავს მორიგ ან, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალურ სხდომაზე.

2. კომისიაში შემოსული მასალები, კომისიის სხდომის ჩატარებამდე გონივრულ ვადაში ეგზავნებათ კომისიის წევრებს გასაცნობად.

3. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რასაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 4 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 06.01.2012 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 11.06.2012 წ.

მუხლი 9. მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

1. კომისიას პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს პრობაციის ბიუროს უფროსი მსჯავრდებულის (მისი დამცველი, ან კანონიერი წარმომადგენელი) შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

2. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის გამოსაცდელი ვადის მოხდას, დანაშაულის სიმძიმეს, მსჯავრდებულის ქცევას, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ პირობებს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი, ასევე სხვა გარემოებებს, რომლებიც ახასიათებს მას.

3. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს დამატებითი სასჯელის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 6 თებერვლის ბრძანება №15 - ვებგვერდი, 06.02.15 წ.

მუხლი 9¹. ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენა ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირება

1. კომისიას ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ მიმართავს უფლებამოსილი პირი (მისი დამცველი, ან კანონიერი წარმომადგენელი) შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი



ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი – რეგისტრაციის მიხედვით და ფაქტობრივი, ტელეფონის ნომერი);

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის მითითებას, რომლის საფუძველზეც ჩამორთმეული აქვს უფლება;

გ) უფლების ჩამორთმევის ვადას;

დ) ინფორმაციას დანიშნული სასჯელის შესახებ (მათ შორის, სასჯელის გაუქმების, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ);

ე) პირის მოთხოვნას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) უფლებაჩამორთმეული პირის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სამართლებრივი აქტის (განაჩენის) ასლი, რომლის საფუძველზეც პირს ჩამორთმეული აქვს უფლებები;

გ) შესაბამისი დასკვნა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

4. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს წარმოდგენილ დოკუმენტებს, ნარკოლოგიური შემოწმების შედეგებს და უფლებაჩამორთმეული პირის ყოფაქცევის შესახებ სხვა ინფორმაციას.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 11.06.2012 წ.

მუხლი 10. კომისიის გადაწყვეტილება.

1. ამ დებულების მე-7 მუხლით დადგენილი წესით, წარმოდგენილი შუამდგომლობის/ განცხადების განხილვის შემდეგ კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ;

ბ) მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის შესახებ;

დ) ჩამორთმეული უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ;

ე) ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის შესახებ.

2. კომისიის გადაწყვეტილება მსჯავრდებულისთვის/უფლებაჩამორთმეული პირისთვის უარის თქმის შესახებ უნდა იყოს მოტივირებული.

3. თუ კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისთვის/უფლებაჩამორთმეული პირისთვის უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე შუამდგომლობის/განცხადების ხელახალი განხილვა დასაშვებია გადაწყვეტილების გამოტანიდან 6 თვის შემდეგ.

4. მიღებული გადაწყვეტილება 14 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მსჯავრდებულს/ უფლებაჩამორთმეულ პირს, შესაბამის პრობაციის ბიუროს და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებს.

5. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 4 ივნისის ბრძანება №75 - ვებგვერდი, 11.06.2012 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 20 ივლისის ბრძანება №58 - ვებგვერდი, 21.07.2017 წ.

მუხლი 11. კომისიის საქმიანობის უზრუნველყოფა

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის ის მოსამსახურეები, რომლებსაც განსაზღვრავს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. კომისიის დაკომპლექტება უნდა დასრულდეს ამ დებულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

2. კომისიის დაკომპლექტებისთანავე, კომისიის პირველ სხდომას იწვევს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

